Tax and Legal Newsletter

bakertilly

ცვლილებები საგადასახადო კანონმდებლობაში

2019 წლის აპრილში საქართველოს „საგადასახადო კოდექსში“ მნიშვნელოვანი ცვლილებები არ შესულა.

სხვა საკანონმდებლო ცვლილებები

მედიაციის შესახებ კანონპროექტის განხილვა იწყება

მედიაცია, როგორც დავის ალტერნატიული გადაწყვეტის საშუალება სპეციალურ საკანონმდებლო რეგლამენტაციას დაექვემდებარება. საქმე ეხება საქართველოს პარლამენტის მიერ მედიაციის შესახებ დამოუკიდებელი კანონის მიღების პროცედურების დაწყებას, რომელიც ჯერ კიდევ 2017 წელს იქნა შემუშავებული საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ.

მედიაციის შესახებ საქართველოს კანონის მიღების მიზანს წარმოადგენს როგორც კომერიციული ასევე არაკომერციული დავების უფრო სწრაფად და ეფექტურად გადაწყვეტა და საერთო სასამართლოების განტვირთვა ისეთი დავებისგან, სადაც მოსალოდნელია დავის შეთანხმებით დასრულება.

კანონპროექტით გათვალისიწნებულია ორი სახის მედიაცია: კერძო და სასამართლო მედიაცია. კერძო მედიაციის ინიციატივა, კანონპროექტის მიხედვით შეიძლება ეკუთვნოდეს დავის მონაწილე მხარეებს და ამის თაობაზე მხარეებს შორის უნდა არსებობდეს შეთანხმება. მიუხედავად სპეციალური აღნიშვნის არარსებობისა, კანონპროექტის ლოგიკური ანალიზის შედეგად შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ შეთანხმება დავის მედიატორისთვის გადაცემის შესახებ შეიძლება დაიდოს ცალკე შეთანხმების სახით ან ის შეიძლება იყოს მხარეებს შორის არსებული გარიგების შემადგენელი ნაწილი. რაც შეეხება სასამართლო მედიაციას, მისი დაწყების საფუძვლად კანონპროექტში მითითებულია სამოქალაქო დავაზე სარჩელის წარდგენა და დავის მედიატორისთვის გადაცემა მოსამართლის გადაწყვეტილების საფუძველზე. საკანონმდებლო ინიციატივა შეიცავს ბუნდოვან დებულებას იმასთან დაკავშირებით, რომ მედიაციის დაწყების საფუძველი შეიძლება ასევე იყოს სხვა უფლებამოსილი ორგანოს მიერ დავის მედიატორისთვის გადაცემა. ის, თუ სასამართლოს გარდა რომელი ორგანო შეიძლება იყოს ასეთი უფლებამოსილებით აღჭურვილი, კანონპროექტიდან არ იკითხება.

იმის გათვალისწინებით, რომ მედიაციის ერთ-ერთ სახეს უნდა წარმოადგენდეს სასამართლო მედიაცია, ამ კუთხით სამოქალაქო საპროცესო კოდექსში არსებული რეგულაციები სასამართლო მედიაციის შესახებ ძალაში რჩება, თუმცა იგეგმება მთელი რიგი საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება მითითებულ საკანონმდებლო აქტშიც. სასამართლო მედიაციას დაქვემდებარებული საქმეების ადრე არსებულ ჩამონათვალს დაემატება რიგი საქმეებისა, რომლებიც მოსამართლის გადაწყვეტილებით (მხარეთა თანხმობის არსებობის მიუხედავად) შეიძლება გადაეცეს სასამართლო მედიაციას. მათ რიცხვს განეკუთვნება, არაქონებრივი დავები, ქონებრივი დავები, სადაც დავის საგნის ღირებულება არ აღემატება 20 000 ლარს, აგრეთვე საბანკო დაწესებულებების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ან არასაბანკო საკრედიტო დაწესებულებების მიერ დადებული სესხის, მათ შორის, ელექტრონული ფორმით დადებული სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავები, თუ

დავის საგნის ღირებულება არ აღემატება 10000 ლარს, ისევე როგორც შრომის სამართლებრივი დავები (გარდა კოლექტიური დავებისა) და საზიარო უფლების რეალიზაციასთან დაკავშირებით არსებული დავები. მიუხედავად იმისა, რომ მოსამართლის გადაწყვეტილებით მედიაციის პროცესის დაწყებისთვის არ არის სავალდებულო დავის მონაწილე მხარეთა თანხმობა, ეს მათ არ უკარგავს ნების თავისუფლებას და არ ზღუდავს დავის მედიაციის ფარგლებში დასრულების აუცილებლობით. მათ მედიაციის ნებისმიერ ეტაპზე უნარჩუნდებათ უფლება სადავო საკითხები გადაწყვიტონ სასამართლო განხილვის მეშვეობით.

რაც შეეხება კერძო მედიაციას დაქვემდებარებული საქმეების ჩამონათვალს, მათი დავის კატეგორიების მიხედვით შეზღუდვა კანონპროექტის მიხედვით გათვალისწინებული არ არის. მიუხედავად ამისა იურიდიულ საკითხთა კომიტეტის მიერ გამოთქმული შენიშვნით, სასამართლო მედიაციის მსგავსად, სადაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულია გარკვეული კატეგორიის საქმეები, რომელთა თაობაზეც დაუშვებელია სასამართლო მედიაციის გამოყენება, ასევე მედიაციის შესახებ კანონპროექტით უნდა იყოს გათვალისწინებული კერძო მედიაციის შემთხვევებში იგივე კატეგორიის საქმეებზე მედიაციის გამართვის დაუშვებლობის საკითხი. აღნიშნული ეხება შვილად აყვანასთან, შვილად აყვანის ბათილად ცნობასთან, შვილად აყვანის გაუქმებასთან, მშობლის უფლების შეზღუდვასთან, მშობლის უფლების ჩამორთმევასთან, აგრეთვე ქალთა მიმართ ძალადობასთან ან/და ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებულ დავებს.

მედიაციის შესახებ კანონით იქმნება მედიატორთა თვითრეგულირების ორგანო - საქართველოს მედიატორთა ასოციაცია, დგინდება მედიატორისთვის წაყენებული სავალდებულო მოთხოვნები, განისაზღვრება მედიაციის წარმოების პროცედურები, ასევე მედიატორთა მხრიდან ეთიკის ნორმების დაცვის და დისციპლინური პასუხისმგებლობის ზოგადი პირობები.

მნიშვნელოვანია, რომ მედიაციის შესახებ კანონპროექტით გათვალისწინებული პირობების ეფექტურად შესრულების მიზნით, ცვლილებები იგეგმება ასევე სხვა საკანონმდებლო აქტებში, მათ შორის სამოქალაქო საპროცესო კოდექსში და სააღსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონში. ცვლილებებით იქმნება მედიაციის პროცესში დავის მონაწილეთა მოთხოვნების უზრუნველყოფის მექანიზმები, ისევე როგორც სამედიაციო მორიგების აღსრულების საშუალებები.

კანონპროექტის ძალაში შესვლა გათვალისწინებულია 2020 წლის 1 იანვრიდან.

Contact information

bakertilly
7 Bambis Rigi, 0105, Tbilisi.
(+995 32) 2438 999

office@bakertilly.ge
www.bakertilly.ge

This newsletter contains information about Legal, Tax and court practice latest updates. Every effort is made to provide accurate and complete information. However, Baker Tilly Georgia cannot guarantee that there will be no errors. These informational

materials are not intended, and should not be taken, as legal or tax advice on any particular set of facts or circumstances. Please, contact our professionals for specific Tax or Legal issues.

Baker Tilly Georgia Ltd trading as Baker Tilly is a member of the global network of Baker Tilly International Ltd., the members of which are separate and independent legal entities.